ამინისტროსა და შპს "ჯეო ჰოსპიტალს" შორის გაფორმებული ნასყიდობის
აქტის შესახებ (2011 წლის 9 ნოემბრისა და 2013 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული
ვადების შეტანის თაობაზე ხელშეკრულებების გათვალისწინებით) 3.1.10. მუხლის
იანახმად, შპს "ჯეო ჰოსპიტალსმა" იკისრა ვალდებულება ხელშეკრულების დანართი №1-ის
ორველი პუნქტით გადაცემულ ქონებაზე ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 თვის ვადაში
2013 წლის 15 იანვრამდე უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების ჩატარება და აღჭურვის
სიხშირით ინვესტიციის განხორციელება შემდეგი მოცულობით:

დანართი №1-ის პირველი პუნქტის პირველი ქვეპუნქტით გათვალისწინებულ
უძრავ ქონებაზე - 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი;

დანართი №1-ის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ უძრავ
ქონებაზე - 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარი.

თქვენ მიერ 2013 წლის 22 თებერვლის (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი -
22.02.2013; №5873/04) №01/12-368 წერილით წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის
ახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის, ასევე 2013 წლის 26
ვლისის №01/12-1499 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი - 26.07.2013; №27949/04) და 2013
წლის 8 აგვისტოს №01/12-1548 (სააგენტოში რეგისტრაციის თარიღი - 8.08.2013; №29305/04)
წერილებით წარმოდგენილი სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო
ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილების საფუძველზე დასტურდება შპს "ჯეო
ჰოსპიტალსის" მიერ ზემოთ ხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.10. მუხლით
წაკისრი ვალდებულების შესრულება.

Geo Hospitals LLC

Report on the Performance of the Company's Contractual Obligations

Appendix #6

გაცნობებით, რომ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის №593 განკარგულების საფუძველზე, "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის 49¹-ე მუხლის შესაბამისად, შპს "ჯეო ჰოსპიტალსი" გათავისუფლდა 2011 წლის 15 სექტემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს "ჯეო ჰოსპიტალსი" შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.10. მუხლით დადგენილი პირობების დარღვევისთვის "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების შპს "ჯეო ჰოსპიტალსისთვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 სექტემბრის №14/09/07 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ივლისის №02/07/02 განკარგულების საფუძველზე 2013 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული ცვლილების შეტანის თაობაზე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღამდე დაკისრებული ან/და დასაკისრებული პირგასაძტებლოს გადახდისაგან.

დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 ივნისის №593 განკარგულებას.

ამასთან, გაცნობებით, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლის შესაბამისად, შპს "ჯეო ჰოსპიტალსი" ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი №5-ით გათვალისწინებული ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობა ქიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, ჭრჭანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის, ზორჯომის მუნიციპალიტეტებში შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გარდამავალი პერიოდის დასასრულიდან 7 წლის განმავლობაში და დანართი №5-ში განსაზღვრული აბეცეფორი პირობების გათვალისწინებით და გერგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით. ამასთან, ამავე პუნქტით განსაზღვრული ვალდებულება ვანის, ხონის და პარაკლასის მუნიციპალიტეტში უზრუნველყოს მხოლოდ დანართი №5-ის პირველი პუნქტის შესაბამისად აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ ბაზისური სამედიცინო სერვისების უწყვეტობის შენარჩუნების ვალდებულებების შესრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადით.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

საპა-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

დირექტორი ქეშისვილი



შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ანგარიში
აუდიტორის დასკვნა





შპს ჯეო ჰოსპიტალსი

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ანგარიში

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

დანართი 1

დანართი 2

დანართი 3

დანართი 4

დანართი 5

დანართი 6



BDO

ტელ: +995 32 2545 845
ფაქსი: +995 32 2188 188
www.bdo.ge

საქართველო, თბილისი, 0179
თარხნიშვილის ქ. 2
ვერეს ბიზნეს ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ მენეჯმენტს,

მოწვევის მიზანი

შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ (ID: 404907730) (შემდგომში „კომპანია“) დაგვიქირავა, ცალკეული (შეზღუდული) შემოწმების შესასრულებლად და ცალკეული დასკვნის მოსამზადებლად, კომპანიის მიერ შემდეგი ვალდებულებების შესრულების საკითხზე:

- 2014 წლის 5 სექტემბრის „ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების“ (შემდგომში „ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება“) 4.3.2, 4.3.3, 4.3.4, 4.3.5, 4.3.6 და 4.3.7 მუხლები;
- 2011 წლის 15 სექტემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „N1 ნასყიდობის ხელშეკრულება“) 3.1.2, 3.1.3, 3.1.4, 3.1.5, 3.1.6, 3.1.7, 3.1.8, 3.1.9 და 3.1.10 მუხლები;

შენიშვნა: 3.1.7 მუხლში მოყვანილი მუნიციპალიტეტებიდან, წალკაში, ყაზბეგში, თეთრიწყაროში, თიანეთში და ბორჯომში მდებარე სამედიცინო დაწესებულებები შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიყიდა ჯანდაცვის რეგიონულ ცენტრს, 2015 წლის 20 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით. შპს ჯეო ჰოსპიტალსი გათავისუფლებულია ხარაგაულში სამედიცინო ცენტრის მოწყობის ვალდებულებისგან, შემდეგი დოკუმენტის მიხედვით - „დაზღვევის ღირებულების განსაზღვრა სამედიცინო რეგიონების მიხედვით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მზღვეველის განსაზღვრა და კონკურსით მზღვეველი შერჩევა, ან პარტნიორობის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობის საკითხზე გამართული უწყებათაშორისი კომისიის სხდომის N14 ოქმის შესაბამისად“.

- 2010 წლის 29 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების (შემდგომში „N2 ნასყიდობის ხელშეკრულება“) 2.1ბ, 2.1გ მუხლები.

ზემოაღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმებულია შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის. ვალდებულებები იყოფა ორ კატეგორიად: ვალდებულებები, რომლებიც უნდა



შესრულებულიყო რამდენიმე წლის წინ და ვალდებულებები, რომელთა დასრულების ვადაც ჯერ არ ამოწურულა.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წლის წინ შესასრულებელი ვალდებულებები (მითითებულია მუხლები):

- 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების 4.3.2, 4.3.3, 4.3.4 და 4.3.5 მუხლები;
- 2011 წლის 15 სექტემბრის N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3, 3.1.4, 3.1.5, 3.1.6, 3.1.8, 3.1.9 და 3.1.10 მუხლები;
- 2010 წლის 29 ივლისის N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლი.

ვალდებულებებზე ჩვენს მოსაზრებას გამოვხატავთ კომპანიის მიერ მოწოდებული ოფიციალური წერილების საფუძველზე, რომლებიც შემოსულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოებიდან.

ვალდებულებები, რომელთა დასრულების ვადა ჯერ არ ამოწურულა:

- 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების 4.3.6 და 4.3.7 მუხლები;
- 2011 წლის 15 სექტემბრის N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლი;
- 2010 წლის 29 ივლისის N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(გ) მუხლი.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა

კომპანიის მენეჯმენტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება, რომელთა დასრულების ვადა ჯერ არ ამოწურულა, ასევე იმ ვალდებულებების შესრულება, რომლებიც დადასტურებულია შესაბამისი ორგანოების მიერ, N1 ნასყიდობის ხელშეკრულებით, N2 ნასყიდობის ხელშეკრულებით და ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულებით.

აუდიტორის პასუხისმგებლობა და შეფასების სტანდარტები

ჩვენი დასკვნა ემყარება დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიშის სხვა თავებში განხილულ საკითხებს.

სამუშაო ჩავატარეთ აუდიტის და შეფასების სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „ISAE 3000 შეფასების პროცესების საერთაშორისო სტანდარტის“ შესაბამისად: „შეფასების პროცედურები, გარდა ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა ან მიმოხილვისა“, გაცემული.

ვიყენებთ N1 ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტს და შესაბამისად, გვაქვს ხარისხის კონტროლის კომპლექსური სისტემა, მათ შორის ეტიკური



მოთხოვნების, პროფესიული სტანდარტების და მოქმედი საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნების დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტირებული მიდგომები და პროცედურები.

ვასრულებთ ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გაცემულ „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსით“ განსაზღვრულ დამოუკიდებლობის და ეთიკის მოთხოვნებს, რომელიც ეფუძნება პატიოსნების, ობიექტურობის, პროფესიული კომპეტენციის, კონფიდენციალურობის და პროფესიული ქცევის ფუნდამენტურ პრინციპებს.

შესრულებული სამუშაოს შეჯამება

შემოწმება დავგეგმეთ და შევასრულეთ ISAE 3000-ის შესაბამისად, რათა მოგვეზადებია ცალკეული (შეზღუდული) დასკვნა N1 ნასყიდობის ხელშეკრულების, N2 ნასყიდობის ხელშეკრულების და ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულებაზე.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიტიკური და სხვა პროცედურები მოცემულია ქვემოთ:

- 1) ვეწვიეთ შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ კუთვნილ სამედიცინო დაწესებულებებს სამტრედიის, ზესტაფონის, ბორჯომის, გურჯაანის, საგარეჯოს, გარდაბნის, მარნეულის, ბაღდათის, ჭიათურის, დუშეთის და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. დეტალური ინფორმაცია მოცემულია N2 დანართში;
- 2) განვიხილეთ შპს „ჯეო ჰოსპიტალისა“ და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის 2011 წლის 15 სექტემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება; ხელშეკრულების დამატებები გაფორმდა 2011 წლის 9 ნოემბერს, 2012 წლის 18 ივლისს და 2013 წლის 21 აგვისტოს;
- 3) განვიხილეთ 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება, გაფორმებული შპს „ჯეო ჰოსპიტალისა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის;
- 4) განვიხილეთ 2010 წლის 29 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება, შპს „ჯეო ჰოსპიტალისა“ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შორის;
- 5) განვიხილეთ 2012 წლის 24 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულებაშპს „ჯეო ჰოსპიტალისა“ და სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგს“ შორის, რომლის თანახმად, სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგმა“ შესაბამისი უძრავი ქონება და მასზე არსებული ვალდებულებები საკუთრებაში გადასცა კომპანიას;
- 6) შევამოწმეთ 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების 4.3.2, 4.3.3, 4.3.4, 4.3.5 მუხლების ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილები, რომლებიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2016 წლის 1 ივნისს;



- 7) შევამოწმეთ 2011 წლის 15 სექტემბრის N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3, 3.1.4, 3.1.5, 3.1.6, 3.1.8, 3.1.9, 3.1.10 მუხლების ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილები, რომლებიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2014 წლის 3 იანვარს;
- 8) შევამოწმეთ 2010 წლის 29 ივლისის N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლის ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილები, რომლებიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2019 წლის 21 ოქტომბერს;
- 9) შევამოწმეთ პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების შესახებ წერილები, რომელიც განხილულია N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.10 მუხლში, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 2013 წლის 16 სექტემბერს;
- 10) გავეცანით შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და შპს რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრს შორის 2015 წლის 20 აპრილს გაფორმებულ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ქონების გასხვისებას სამედიცინო დაწესებულებების შესყიდვის სახით ბორჯომში (დაბა ბაკურიანი), ყაზბეგში (დაბა სტეფანწმინდა), თიანეთში (დაბა თიანეთი), თეთრიწყაროში (ქ. თეთრიწყარო) და წალკაში (ქ. წალკა);
- 11) გავეცანით საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის N218 განკარგულებას;
- 12) გავეცანით საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის N165 გადაწყვეტილებას;
- 13) შევამოწმეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 2014 წლის რეგულაციის შემოწმების აქტები, მუნიციპალიტეტებს შორის;
- 14) შევამოწმეთ 2011-2012 წლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შპს „ჯეო ჰოსპიტალსისთვის“ გაცემული ნებართვები ინფექციური დაავადებების მკურნალობაზე, რათა შეგვემოწმებია ერთ-ერთი საკითხი საბაზო მომსახურებებიდან, რომელიც უკავშირდება იმუნოპროფილაქტიკას;
- 15) გავეცანით 2010 წლის 20 აპრილის N2 ოქმს, 2012 წლის 20 იანვრის N4 ოქმს და 2012 წლის 10 მაისის N5 და N13 ოქმებს, გაცემულს უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე, რომელიც გაიმართა პარტნიორობის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობის საკითხზე - დაზღვევის ღირებულების განსაზღვრა სამედიცინო რეგიონების მიხედვით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მზღვეველის განსაზღვრა და კონკურსით შერჩეული მზღვეველი;
- 16) საბაზო მომსახურებების გარკვეული მიმართულებების შესამოწმებლად, როგორიცაა მშობიარობამდელი მკურნალობა, იმუნოპროფილაქტიკა,



ტუბერკულოზის მართვა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, შევამოწმეთ პაციენტების სამედიცინო ისტორიები:

- მშობიარობამდელი მკურნალობის პაციენტების სამედიცინო ისტორიები
- პაციენტების იმუნიზაციის ცხრილები და ჟურნალები
- ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტების სამედიცინო ისტორიები
- ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციის ისტორიები და სხვ.

17) N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლით და 4.3.7 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების სტატუსის შესამოწმებლად, კერძოდ სამედიცინო პროფილის უზრუნველყოფა (საკადასტრო კოდი: 55.12.75.140; 51.01.57.132), შევამოწმეთ სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტების სამედიცინო ისტორიები 2011-2019 წლებში;

18) შევამოწმეთ მიღების ქვითრები და გადახდის ინვოისები წლების განმავლობაში, შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის, რათა შეგვემოწმებია შემდეგი საკითხები საბაზო მომსახურებებში: მშობიარობამდელი მოვლა, იმუნოპროფილაქტიკა, ტუბერკულოზის მართვა და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია;

19) შევამოწმეთ კონტრაქტები ოჯახებსა და სოფლის ექიმებს შორის, ექიმების კომპეტენციები მუნიციპალიტეტის დონეზე, ხელმოწერილი 2011-დან 2019 წლამდე პერიოდში, N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლის სტატუსის შესამოწმებლად, რომელიც გულისხმობს სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო პროფილის შენარჩუნებას 7 წლით; ნასყიდობის ხელშეკრულების მუხლი 4.3.7 და N1 ნასყიდობის ხელშეკრულების მუხლი 3.1.7, საბაზო მომსახურებების შემდეგი საკითხების მხრივ:

- შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა სოფლებში, გარდა ადმინისტრაციული ერთეულებისა.
- ფსიქიური დაავადებების მართვა და საჭიროებისამებრ გადამისამართება შესაბამის დაწესებულებაში, მუნიციპალურ დონეზე.
- ინფექციური დაავადებების მკურნალობაზე წვდომის უზრუნველყოფა.
- ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობაზე წვდომის უზრუნველყოფა.

20) შევამოწმეთ შპს „ჯეო ჰოსპიტალსსა“ და ექიმებს შორის (ონკოლოგები და ფსიქიატრები) 2011-2019 წლებში გაფორმებული კონტრაქტები და მათი კომპეტენციები მუნიციპალიტეტის დონეზე, N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლის, N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 4.3.7 მუხლის და N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლის შესრულების სტატუსის შესამოწმებლად;

21) შევამოწმეთ შპს „ჯეო ჰოსპიტალსის“ მიერ გაცემული ბრძანებები საკადრო ერთეულების განსაზღვრის და კადრების დანიშვნის შესახებ;





აუდიტორის ცალკეული დასკვნა

2019 წლის 23 ოქტომბრის მონაცემებით, ჩატარებული პროცედურები და მოპოვებული მტკიცებულებები არ გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ შპს „ჯეო ჰოსპიტალს“, ქვემოთ მოცემული მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელების მიზნით (და #1 დანართში მოცემული დეტალების გათვალისწინებით), არ შეუსრულებია ქვემოთ მოცემული მუხლებით ნაკისრი კონკრეტული მოთხოვნები:

- 2014 წლის 5 სექტემბრის „ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების“ 4.3.2, 4.3.3, 4.3.4, 4.3.5, 4.3.6, 4.3.7 მუხლები;
- 2011 წლის 15 სექტემბრის N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.2, 3.1.3, 3.1.4, 3.1.5, 3.1.6, 3.1.7*, 3.1.8, 3.1.9, 3.1.10 მუხლები;
- 2010 წლის 29 ივლისის N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) და 2.1(გ) მუხლები.

გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, რომ მიმდინარე ვალდებულებების შესრულება დასტურდება მხოლოდ მოცემული თარიღის მდგომარეობით და არ გულისხმობს, რომ ეს ვალდებულებები შესრულდება დადგენილ ვადაში.

** შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“ გათავისუფლებულია ხარაგაულში სამედიცინო ცენტრის მოწყობის ვალდებულებებისგან. თანახმად დოკუმენტისა - „მზღვევის ღირებულების განსაზღვრა სამედიცინო რეგიონების მიხედვით, საქართველოს მთავრობის კანცელარიის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მზღვევის განსაზღვრა და კონკურსით მზღვევლი შერჩევა, ან პარტნიორობის მიერ ვალდებულებების შესრულების ზედამხედველობის საკითხზე გამართული უწყებათაშორისი კომისიის სხდომის N14 ოქმის შესაბამისად“.*

ზემოთ განხილული ვალდებულებები უკავშირდება ქვემოთმოცემულ ქონებაზე არსებული ვალდებულებებისგან გათავისუფლებას:

- (1) სამტრედია, ჭანტურიას ქ. N2 (საკადასტრო კოდი: 34.08.56.101.01.500); (2) მარნეული, რუსთაველის N112 (საკადასტრო კოდი: 83.02.19.046); (3) კახეთის გზატკეცილი N13 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.140) - არეგულირებს 2011 წლის 15 სექტემბრის N1 ნასყიდობის ხელშეკრულების 3.1.7 მუხლი და 2013 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული დამატება;
- საგარეჯო, კახეთის გზატკეცილი N13 (საკადასტრო კოდი: 55.12.75.140) - არეგულირებს 2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების 4.3.6 და 4.3.7 მუხლები;
- გურჯაანი, მარჯანიშვილის N35 (საკადასტრო კოდი: 51.01.57.064) - არეგულირებს 2010 წლის 29 ივლისის N2 ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(გ) მუხლი და 2012 წლის 24 დეკემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება.



შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ანგარიში

დანართი #1

N1 ნასყიდობის ხელშეკრულებით (ცხრილი 3), N2 ნასყიდობის ხელშეკრულებით (ცხრილი 1) და ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულებით (ცხრილი 2) ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მომდევნო ცხრილებში.

ცხრილი N1

2010 წლის 29 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულება			
უძრავი ქონება ვალდებულებებით (საკადასტრო კოდი 51.01.57.064)			
მყიდველის ვალდებულება	ვალდებულების ვადა	მოპოვებული დოკუმენტაცია	მოპოვებული მტკიცებულება
მუხლი 2.1(ბ) - „70 საწოლიანი საავადმყოფოს მშენებლობა და ექსპლუატაციაში გაშვება შესყიდულ ობიექტზე, 2012 წლის 31 მარტამდე. ექსპლუატაცია კანონმდებლობის შესაბამისად და ლიცენზირების მოთხოვნების შემსრულება“	შესასრულებელი ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების გადავადების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოდან 2019 წლის 21 ოქტომბერს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 2.1(გ) - „სამედიცინო ობიექტის სამედიცინო პროფილის შენარჩუნება 2.1(ბ) მუხლიდან 7 წლის მანძილზე“	ვადა 2019 წლის 31 მარტი	დასტურდება 2019 წლის 23 ოქტომბრისთვის ზემოთმოცემული ანალიტიკური და სხვა პროცედურებით	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის

* სახელმწიფო ქონების სააგენტოს 2019 წლის 21 ოქტომბრის წერილის თანახმად, კომპანიამ 2010 წლის 29 ივლისის ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1(ბ) მუხლში მოცემული ვალდებულება შეასრულა დაგვიანებით, რაც ითვლება ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევად. 2010 წლის 29 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფო ქონების სააგენტო შეტყობინებას უგზავნის კომპანიას და უწესებს პირგასამტეხლოს 2,720 ლარის ოდენობით. შესაბამისად, კომპანიას დაეკისრა 2,720 ლარის ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა და გადახდისთვის მიეცა ვადა 2019 წლის 1 თებერვლამდე.

2010 წლის 29 ივლისის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, კომპანიის მიერ შეტყობინებაში მითითებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სახელმწიფო ქონების სააგენტოს უფლებას აძლევს შეწყვიტოს კონტრაქტი და დაიწყოს შესაბამისი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების პროცედურა. შევამოწმეთ და დავადასტურეთ, რომ კომპანიამ სრულად გადაიხადა დაკისრებული პირგასამტეხლო, სახელმწიფო ქონების სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების სააგენტო არ იყო უფლებამოსილი დაეწყო ზემოაღნიშნული პროცედურა.





შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ანგარიში

ცხრილი N3

2014 წლის 5 სექტემბრის ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულება			
უმრავლესობის ვალდებულებებით (საკადასტრო კოდი 55.1275.140)			
მყიდველის ვალდებულება	ვალდებულების შესრულების ვადა	მოპოვებული დოკუმენტაცია	მოპოვებული მტკიცებულება
მუხლი 3.1.2 - „უწყვეტი სამედიცინო მომსახურებების უზრუნველყოფა (განსაზღვრული კონტრაქტში) მე-4 დანართში მოცემული სამედიცინო ობიექტების მეშვეობით. ათი ობიექტი (ათი საკადასტრო კოდი) მითითებულია მე-4 დანართში. ჯეო ჰოსპიტალს დაეკისრა აღნიშნული სამედიცინო მომსახურებების გაწევის ვალდებულება აღნიშნული სამედიცინო ობიექტების მეშვეობით გარდამავალ პერიოდში“	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.3 - „ინდივიდუალური წერილების, სამუშაო პოზიციის, მოქმედი სახელფასო პირობების საფუძველზე და საშუალო წლიური ანაზღაურების გათვალისწინებით, უზრუნველყოს კადრების დაქირავება (ექიმები და ექთნები) გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე, ხელშეკრულების მე-2 დანართთან მიმართებაში. ამ ვალდებულების შესასრულებლად, „მყიდველმა“ საჯაროდ უნდა გააკეთოს შესაბამისი განცხადება მე-4 დანართში მითითებულ დაწესებულებებში; ამასთან, პერსონალის მხრიდან „მყიდველისთვის“ გაგზავნილი წერილობითი უარი დასაქმებაზე ან/და პერსონალის მიერ წერილობითი პოზიციის წარმოუდგენლობა (შრომით ურთიერთობებში შესვლაზე თანხმობა ან უარი) გარდამავალი პერიოდის დაწყებამდე ათავისუფლებს „მყიდველს“ ამ პუნქტით ნაკისრი ვალდებულებისგან. აღნიშნულის შესახებ უნდა ეცნობოს კომისიას“.	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.4 - „ხელშეკრულების 3.1.3 მუხლში ხსენებული პერსონალის შერჩევა, რათა მოხდეს მათი დასაქმება სამედიცინო დაწესებულებებში რომლებსაც ფლობს ან/და იყენებს „მყიდველი“, არაუგვიანეს 2011 წლის 1 ნოემბრისა.“	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.5 - „გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებების უზრუნველყოფა ჰეალთის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს,	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის





დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, გარდამავალი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, უზრუნველყოს გამართული პარკინგი, მუდმივი სატელეფონო კავშირი, ჩაერთოს ერთჯერადი დისპეჩერების სისტემაში და უზრუნველყოს გადაუდებელი სამედიცინო მომსახურებები სახელმწიფო პროგრამის და პროგრამის დაფინანსების ფარგლებში“.			
მუხლი 3.1.6 – „3.1.2 მუხლში მოცემული ვალდებულებების შესასრულებლად, მიიღოს შესაბამისი ზომები სსიპ-ებთან იჯარის ხელშეკრულების გასაფორმებლად, გარდამავალ პერიოდამდე“.	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.7 – „უზრუნველყოს მნიშვნელოვანი სამედიცინო მომსახურების უწყვეტობა ჭიათურის, ზესტაფონის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, წალკის, სამტრედიის, ბაღდათის, გურჯაანის, საგარეჯოს, დუშეთის, ყაზბეგის, მცხეთის, თიანეთის, ბორჯომის მუნიციპალიტეტებში, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გარდამავალი პერიოდიდან 7 წლის განვლობაში, მე-5 დანართში მოცემული სპეციფიური პირობების და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ფარგლებში. ამასთან, ვანის, ხონის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტებში ვალდებულებების შესრულება მე-5 დანართის 1-ლი მუხლის შესაბამისად“.	ვალდებულების პერიოდი - სამედიცინო დაწესებულებების გახსნის თარიღები განისაზღვრება როგორც გარდამავალი პერიოდის დასრულების თარიღი. შესაბამისად, 7 წლიანი ვალდებულება.	დასტურდება 2019 წლის 23 ოქტომბრისთვის, ანალიტიკური და სხვა პროცედურებით - ჭიათურაში, ზესტაფონში, გარდაბანში, საგარეჯოში, დუშეთში, მცხეთაში, ბორჯომში დასტურდება 7 წელი, გარდამავალი პერიოდის დასრულებიდან, და წალკაში, ყაზბეგში, თეთრიწყაროში, თიანეთში დასტურდება 2015 წლის 20 აპრილიდან, რადგან ეს ობიექტები შპს „ჯეო ჰოსპიტალის“ მიერ გაიყიდა ჯანდაცვის რეგიონულ ცენტრზე, 2015 წლის 20 აპრილის უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.8 – „იჯარის / სარგებლობის ხელშეკრულება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებთან, 3.1.7 მუხლში ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე უწყვეტი სამედიცინო მომსახურებების უზრუნველსაყოფად.“	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.9 – „ზომების მიღება სამედიცინო მომსახურებების გაწევისთვის ლიცენზიების მოსაპოვებლად.“	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილით, რომელიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2014 წლის 3 იანვარს.	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის
მუხლი 3.1.10 – „N1 დანართის 1-ლი მუხლის თანახმად, ჯეო ჰოსპიტალსი ვალდებულია მოახდინოს გადაცემულ ქონებაში ინვესტირება ხელშეკრულების ხელმოწერიდან პირველი 16 თვის განმავლობაში ა) 50 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ობიექტში, რომელიც განსაზღვრულია N1 დანართის პირველ მუხლში; ბ) 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, ობიექტში, რომელიც განსაზღვრულია N1 დანართის მეორე მუხლში; გ) 100 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში,	მიმდინარე ვალდებულება	დასტურდება ვალდებულებების შესრულების დადასტურების წერილებით, რომლებიც შპს „ჯეო ჰოსპიტალსმა“ მიიღო სახელმწიფო ქონების სააგენტოსგან 2013 წლის 16 სექტემბერს და 2014 წლის 3 იანვარს; აღსანიშნავია, რომ კომპანიამ დაარღვია 2013 წლის 16 სექტემბრის ხელშეკრულების 3.1.10 მუხლით გათვალისწინებული პირობები, თუმცა, კომპანია გათავისუფლდა პირგასამტეხლოს გადახდისგან,	საკმარისი მტკიცებულება ცალკეული დასკვნისთვის





ობიექტში, რომელიც განსაზღვრულია N1 დანართის მესამე მუხლში;	რომელიც დაწესდა ან შესაძლოა დაწესებულიყო.
--	---

შპს „ჯეო ჰოსპიტალსი“

კომპანიის საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულების ანგარიში

დანართი N2

დეტალური ინფორმაცია სამედიცინო დაწესებულებებზე და მისამართები მოცემულია ქვემოთ:

მუნიციპალიტეტი	სამედიცინო დაწესებულება	გახსნის თარიღი	ლიცენზიაში მითითებული მისამართი
ბორჯომი	(1) ბორჯომის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	15 აპრილი, 2012	საკაძის ქ. 2
	(2) უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 64.30.01.173)	-	დაბა ბაკურიანი
	(1) გურჯაანის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	15 აპრილი, 2012	მარჯანიშვილის ქ. 35
	(2) კახეთის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	-	სოფ. კაჭრეთი
გურჯაანი	(3) ველისციხის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	-	სოფ. ველისციხე
	(4) იორმულანოს ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	-	სოფ. იორმულანო
	(5) უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 51.01.60.046)	-	რუსთაველის ქ. 22
ზესტაფონი	(1) ზესტაფონის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	აღმაშენებლის პირველი შესახვევი N1
	(2) ზესტაფონის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	კველიძის და მელქაძის ქუჩების გადაკვეთა
	(3) უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 32.10.31.032)	-	უზნაძის ქ. 142
სამტრედია	(1) სამტრედიის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	კოსტავას ქ.
	(2) სამტრედიის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	ჭანტურიას ქ. 2
საგარეჯო	საგარეჯოს მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	კახეთის გზატკეცილი 13
	(1) მარნეულის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	ყოფილი სამხედრო ქალაქის ტერიტორია
მარნეული	(2) მარნეულის სამშობიარ და ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	რუსთაველის ქ. 112
	(3) უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: 83.16.13.055)	-	სოფ. სადახლო
	(1) გარდაბნის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	ლესელიძის ქ. 1
	(2) მარტყოფის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	-	სოფ. მარტყოფი
გარდაბანი	(3) სართიჭალის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	-	სოფ. სართიჭალა
ვანი	ვანის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	თავისუფლების ქ. 84
ხონი	ხონის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	ჭანტურიას ქ. 12
ჭიათურა	ჭიათურის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	ჭანტურიას ქ. 20
	ჭიათურის ამბულატორიული სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	აღმაშენებლის ქ. 14





ბაღდათი	ბაღდათის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	კახიანის ქ. 84
დუშეთი	დუშეთის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი	1 დეკემბერი, 2011	სტალინის ქ. 71
მცხეთა	მცხეთის მულტიპროფილური სამედიცინო ცენტრი.	1 დეკემბერი, 2011	ღვინჯილიას ქ. 5
თეთრიწყარო	საკადასტრო კოდი: 84.01.35.110 – 84.01.35.111	-	რუსთაველის ქ.
წალკა	საკადასტრო კოდი: 85.21.24.152 – 85.21.24.151	-	მარქსის ქ. 4
ყაზბეგი	საკადასტრო კოდი: 74.01.11.097 – 74.01.11.096	-	დაბა სტეფანწმინდა



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის
ნომერი

N200733926



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის
თარიღი

21.09.2020 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

ქეთევან გრიგოლია

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას 45, მესამე სართული

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

593 127322

სანოტარო მოქმედების

87389188133520

ინდივიდუალური ნომერი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას ოცი წლის ოცდაერთ სექტემბერს მე, საქართველოს ნოტარიუს ქეთევან გრიგოლიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №45, მე-3 სართულზე, მომმართა: ტატიანა ბეჟანოვამ (დაბადებული 05.04.1982 წ. დაბადების ადგილი: თბილისი, პირადობის მოწმობის №13IG26933, პირადი №01024025128, გაცემული 05.09.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, მცხოვრები: თბილისი, ს. ზაქარიაძის ქ. 5, ბინა 61) პროფესიით ინგლისური ენის მთარგმნელი, რომელსაც სურდა მის მიერ თარგმნილ საბუთებზე ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება.

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ შევამოწმე ტატიანა ბეჟანოვას ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შევამოწმე მისი უფლებამოსილება (დიპლომი სუ №002889, გაცემული 2003წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მიენიჭა ფილოლოგიის ბაკავარის აკადემიური ხარისხი, რეგისტრაციის №818).

მე, ნოტარიუსმა ქეთევან გრიგოლიამ გაავადრთილე თარგმანი იმ პასუხისმგებლობის შესახებ, რაც დადგენილია არასწორი თარგმანის შემთხვევაში და განვუმარტე, რომ ვამოწმებ საბუთზე ხელმოწერას და შინაარსზე პასუხს არ ვაგებ, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თარგმანს.

ნოტარიუსის საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით დამტკიცებული „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ - 16 (თექვსმეტი) ხელმოწერა, 32 (ოცდათორმეტი) ლარი - მუხლი 31.3 + დღგ 5.76 (ხუთი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი - თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა + 2 (ორი) ლარი სანოტარო მოქმედებათა ელექტრონული რეგისტრაციის საფასური - მუხლი 39.1, თანახმად ზემოთ მითითებული დადგენილებისა, სულ 39.76 (ოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდათექვსმეტი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი



ქეთევან გრიგოლია